ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 37231512**
თარიღი:**31/05/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.46.132) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე მდებარე 250კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 26.26.46.132) სარგებლობაში უსასყიდლოთ აღნაგობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით. იურიდიული პირის არსებობის ვადით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციისთვის გადასაცემად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული პროექტი სრულად აკმაყოფილებს საკრებულოს სხდომაზე ანალოგიური ტიპის დოკუმენტაციის წარდგენის დადგენილ წესს.

კომისიამ პროექტის განხილვის შედეგად გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი